


კომუნისტი

თბილისის
ბიბლიოთეკა



თავს ვარსკვლავი დაბათობთებს თავისუფალ მთებს და მდებებს,
 გაუმარჯოს ყოველ მშენებელს და საზოგადოებრივ მოღვაწეს.



„ნიაფი“ უფროცავს თავის მკითხველს საჭარტველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლის-
თავს.

„1921 წლის 25 თებერვალს თბილისში აღმართული საბჭოთა წითელი ღკრუბ საჭარტველოში ხალხის-
ტორიკაში ახალი ეპოქის დაწყების მაუწყებელი იყო“. (ი. სტალინის და ვ. მოლოტოვის მისაღმგებინდან საჭარ-
ტველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავზე). ზუმარიტად, ჭარტველ მუკრმელ ხალხს
შეუქლია იმამყრს იმ მიღწევებით, კომელიც მან მოიკოვა უკანასკნელი ოცი წლის მანკილზე. „კუსეთის
ტარიზმის ჩამოკჩენილი კოლონიიდან, „კუსეთზე კიღვ უზკო მებად გლმეხური ჭვექნიდან“ (ლენინი), საჭარ-
ტველო გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ-აგკარულ კესპუბლიკად“ (გერია).

თავისუფლების მოქვარე ჭარტველმა ხალხმა მსოლოდ 1921 წ. 25 თებერვლიდან შემკლო მოეპოვებია
პიკოგები ნამღვილი აღოკიინებინსთვის, კადგან იგი განდა ღიკსეული წვეკი სსკკ ხალხთა ღიღი ოჯახისა,
იმ საბჭოთა სოციალისტურ კესპუბლიკათა კავშირისა, კომლის სასით... „ახლა ჩვენ გვაქვს სავსებით ჩამო-
ქალიზებული მკავალეკოვანი სოციალისტური სახელმწიფო, კომელმაც უკოვლგვარ განსაცდელს გაუქლო და
კომლის სიმტკიცეც შეუუკდებოდა კომელიც გნებავთ ნაციონალურ სახელმწიფოს, ჭვექნიგების კომელიც
გნებავთ ნაწილში“ (სტალინი).

„ცაფიკუჟ ხმელეთუკმუხტი“ საჭარტველო სავსებით გაკღიქმნა: ავგავდა ჭარტული—ფოკიით ნაცი-
ონალური და შინაგნით ინტეკნაციონალური—კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა. შეიქმნა
ფართო შესაქლმელოება სატიკულ-ჟუმოკისტული შანკის განვითარებისათვის. ოღმსემ გაუვალ ჭარტველში და უღ-
კან ხეოგებში მატარებლის გუგუნი გაიხმა. აუნდა ინდუსტრიის გიგანტები, ელსადგუბები, ფაბრიკა-ჭარტნები.
„იქ სადაც წინათ უხვად იუკდებოდა მიწვეკებზე ველური გვიგრა, ახლა წარმტატად იუჭრქმნება ჩანს, ციტკუ-
სებინა და ეთერკვანთა კლანტაციები, კომლებიც საჭარტველოს კოლმეუკნეული გლმეხურის შექლმებული
ცნოვკების საფუკველს შეადგენენ“ (ლ. ვ. გერია).

განვლილი ოცი წელი ოქკოს ასოებით აღიგუქდება ჭარტველი ხალხის მატინაში. ამ ხნის განმავლო-
გაში საჭარტველო ერთეკთ უბედნიერეს კუთხედ გადაიქცა მთელ მსოფლიოში. ის კაც სინამღვილმ იყო
მყარე წარსულში, უღაპარია ჩვენი თოგინსთვის, ხოლო კაც სინამღვილმდ ჭვექულა ღმეს, — სანუქვარ და
აუხდენელ ოცნებად წარმოსადგენი იყო წარსულ საუკუნეთა მოწინავე აღამინებინსთვის. ოკდენოსან საჭარ-
ტველოს ხალხი ტავება ახალი, თავისუფალი და გრწინვალე მომავლის ჭვექნი ცნოვკებით. „ჭარტველი ხალხის
მკავალესუქნეოვანმა ინტორიამ, — მიქმა გასაჭირსა და უბედუკებასთან მკთად, კოდესაც საჭარტველო ხანკის
აღში იყო გავსეული, განადგუკებული და დამონავმებული მკავალკიცნოვკან მებეტა უამკავი უკდოების
მიერ, — იცის აგკითვე საკმოდ გვეკი ბედნიერი და სასინაკულო ღმე, კოდესაც ხალხი განდევნიდა ხოლმე
თავის მტკებს, კოდესაც კველი ქალაქი თბილისი — საჭარტველოს დედაქალაქი და გული — კვლამ აღოკიინდ-
ებოდა ფერფლიდან და საუკველთაო სახალხო ზეიმი მჩვევარად მოედებოდა საჭარტველოს მიწა-წყლის
ხეოგებას და ჭალეგს.

მგკამ ჩვენი ჭვექნის წარსულის კომელი სასინაკულო ღმე შეიქლმება ოღნავ მიინც შეედაკოს ღმევა-
ნდელ ღმეს?

„არა, არ ყოფილა ასეთი ღმეები!“ (ლ. ვ. გერია).

გაუმარჯოს საბჭოთა საჭარტველოს ოცი წლისთავს!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ კესპუბლიკათა კავშირს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას!

ს ა თ ე ბ ე რ ვ ლ ო

მეოცეჯერ ვთქვათ სიმღერით დიდება თებერვალისა,
რომელმან დუშმანს გულს დაჭკრა ბასრი მახვილი რვალისა;
ჩვენთვის გააღო მზის კარი — ორგულთა მთხრელი თვალისა,
ახლად დაჰბადა სამშობლო, გაფურჩქნა, გაახალისა.

როგორ მცირია მანძილი ოცი წლით განაზომელი,
მაგრამ მას საუკუნეებმა შეეტოლლება რომელი? —
ნაგვემ-ნაძარცვი ქვეყანა, დაღუბვის გზაზე მდგომელი,
წელში გამართა, აღხინა, დაავაქვაცა მშრომელი!


თვით ისტორიამ მას მისცა გმირი მებრძოლის მკლავი და
მყის თებერვალი — დიადი ოქტომბრის მოძმედ გავიდა,

მიეკა შრომის წიგნაკი — თვის ღვაწლთა აღმწესხავი და
მისნი დიადნი საქმენი შიგ იწერება თავიდან.

გადაიკითხეთ ეს წიგნი — რა შრომა გაუწევია:
ბალში ხილი და ნახნავში — თავთავი დაურწევია,
ჩვენი დიდების აღამი მზესავით აუწევია, —
ჩვენ სინარულით უვსივართ, მტერი კი — დაუქცევია.

ამ დიად დამსახურების ჯილდოდ და საჩუქარადა
ოქროსთარიღა თებერვალს ქებით უმღერებთ მარადა:
რომ სინარულის ამინდი ჩვენში ამინდობს დარადა, —
მტრებისთვის თვალის სათხრელად, მოკეთის გასახარადა.

ზარსადანი



საუკეთესო მორაზმობის მსგავსი

საქართველოს საბჭოთაო მხარის
ბიბლიოთეკის
ფონდის
5
ცალი
№ 70



„პ რ გ უ მ ე ნ ვ ი“

— აკი გვიჩვენებ, ცოტა მოვიცადოთ და დასუსტდებოთ.
— მართალს ვამბობდი. — მაშინ 150 მილიონიან სახელმწიფოს დარაჯობდა, ახლა კი საქმე გაურთულდა, — 193 მილიონიან სახელმწიფოს იცავს.

თეატრის ლაბით

თეატრის ლაბია. გარეთ ისე ცივა, რომ ქარიც თითქოს ჰკანკალებს და სურს შემოძვრეს ამ ახალ ოდაში.
— განაგრძე, ძია, განაგრძე, — ეხვეწებოდა ახალგაზრდები ქადარაშვრელ კლამენტურს.
— რაღა განაგრძო? შეჭამა იმ ხუცესმა ალაბი, შეჯდა ჯორზე, საცხე ხურჯინი შემოიკრა და გაუღდა გზას, ჩვენ ვითომ დაგვტოვა ხაზამშარალი.
— მერე?
— მერე და ოინი შემდეგ მოხდა: მისულა მდინარესთან ეს ჩვენი მამაო, მან რა იცოდა, თუ მისი ჯორი დაეთვრეთ... შუა მდინარეში რომ შევიდა, მთვრალმა ჯორმა ფეხი წაიკრა. ხუცესიც მთვრალი იყო, ჯორიც გადავარჩინეთ და ხუცესიც, მაგრამ ხურჯინი წაიღო წყალში, ასე ეგონა მამოს, სინამდვილეში კი საცხე ხურჯინი ჩვენ წავიღეთ. შიგ ორი შემწვარი გოჭი იყო, ორი ინდოური, ქათმები და ხაჭაპურები. კარგი დრო გავატარეთ. გაწუწული ხუცესი კი სახლში არ შეუშვა ფოფოლია: ხურჯინი რად დამიკარგო.
— სხვა? კიდევ, კიდევ!
— კიდევ რა? კარგი, ერთ ამბავსაც გიამბობთ: ერთხელ სტუმარი გვესტუმრა, დავტრიალდით, მზადებას შევუდგეთ. მე გოჭის მოსანახად წავიდა და ჩვენი მეზობლის — ახალურ კვერენჩხილაძის ბოსტანში კურდღელი არ დაეინახე გამოვბრუნდი, თოფი წავიღე და გავაგორე კურდღელი. თურმე ის შეჩვენებული კვერენჩხილაძე თვალყურს არ მადევნებდა!
ნახევარი საათის შემდეგ მისგან მოციქული მომივიდა: კურდღელი ზაგარანიჩი იყო, იტალიიდან მყავდა გამოწერილი, ხუთი ოქრო მქონდა მიცემული და უნდა გადამიხადოვო, თან კურდღელიც გამოგზავნეო.
— მე ჩემის ხელით მოგართმევ მეთქი, — შევეთვალე. მოციქული წავიდა. მივბრუნდი, ერთი ბებერი კატა გვეყვავდა, იმ დღით მოკვდა და მეზობლის ბღნებს ხუმრობით გავტყავებინათ კიდევ...
— იცო, ბიძა, რა გითხრა? — წამოიძახა უცბად ჩემმა ახალგაზრდა სტუმარმა პეტრამ. ხუმარა ბიჭი იყო. — სადაა ი კურდღლის ტყავი? მომეცი აგერ და გამიშვი კვერენჩხილაძისთან. მივეცი და გაშა ეს ჩვენი პეტრია,
— მერე?
— მერე არ გასულა ცოტა ხანი და ეს ბიჭი შემობრბინა სიცილით.
— აამოს კვერენჩხილაძეს ჩვენი კატაო.

— რაფერტოვა, — შევეკითხე.
— იმფერ, რომ ის კატა გავახვიე კურდღლის ტყავში და მივართვით, სტუმრად ბოქაული ჰყავდა და ქმც მოუღბინათ.
ხურხულობა ვიგრძენი, მარა უპვე გვიან იყო. ჩემმა სტუმარმა ისიამოვნა კურდღლის ხორცი, კვერენჩხილაძემ და ბოქაულმა კი თურმე ჩემი კატა შემწვარი სახით მიირთვეს...
— მერე, მერე?
— მერე გავიდა ერთი კვირა და მამასახლისი მომადგა. იტალიური კურდღლის საფასურად შენი ორი მოხვეერი უნდა მისცე კვერენჩხილაძესო. გავძლიანდი, მაგრამ სასამართლო მის მხარეზე იყო და პოლიცია, წამართვეს ორივე მოხვეერი...
— შეარჩინე?
— რალას ვიხამდი! მაგრამ გავიდა ხუთი წელიწადი და რეგოლუცია მოხდა. მაშინ კი გადავწყვიტე ჩემი ხარების დაბრუნება, მიუბტი სახლში და ძალით წამოვიყვანე.
გავიდა სამი დღე და მეწვევიების გვარდიელები დამეტყნენ თავს,
— კვერენჩხილაძისათვის ხარები წაგირთმევიაო. არა, კაცო, ეს ჩემი ხარებია, კვერენჩხილაძემ გარეულ კურდღელში წამართვა ნიკოლოზას დროს მეთქი, ახლა ხომ ჩემი დროა მეთქი...
თურმე, რა თქვენი ბრძანებაა ეს მეწვევიები ნიკოლოზზე ნაკლებ პატივს კი არ სცემენ ხუცესებსა და თავად ახალგაზრდას! მტაცეს ხელი და ციხეში ჩამყუდეს. ხარები ახალგაზრდას დაუბრუნეს.
გამომიშვეს თუ არა, ისევ ვეცი კვერენჩხილაძეს და წავართვა ხარები. მასე არ უნდაო, მითხრა იმ ჩემმა მტრმა და ისევ დააჭერის ჩემი თავი, ეს უპვე ოცდაერთი წლის იანგარში იყო.
გვივარ ციხეში და ვფიქრობ: ბიჭო, ამ რევოლუციისათვის თავს ვიკლავდი, კვერენჩხილაძეებისა და გვარდიელებისათვის გვინდა რევოლუცია მეთქი?
იმ დღეებში გარეთ ჩოჩქალი და სოლოის ხმა ისმოდა. ამბავიც კი შემოიტანეს: „გარბიანო“.
„ვინ გარბის მეთქი?“ — ვფიქრობდი.
ერთ საღამოს ჩემთან ვილაც ახმახი შემოუშვეს. დაგაკვირდი — ჩვენი კვერენჩხილაძეა. ბიჭოს! ეს რა ამბავია?
— შენც შემოგწყრა ეს მთავრობა? — ვეკითხები.
— შემომწყრა რომელია, ჩემო როსტომ, — მიპასუ-

ხებს ეს ჩემი მტერი, — შემომწყრა კი არა, გაშათავა კაცი...
მიკვირს, ასე ტკბილად რომ მელაპარაკება.
— როსტომიკო, — მეუბნება, — შენ ალბად მალე გავიშვებენ, მე თვითონ შევეხვეწე; თუ ძმა ხარ, წაიყვანე ის შენი ხარები, შენია და ღმერთმა მოგახმაროს...
მე გავგიჟდი თუ ეს კვერენჩხილაძე თურმე ორივე ნორმაზე ვართ.
მეორე დღეს გამომიძახეს და ერობაში მიმიყვანეს. შევეხდე თავმჯდომარეთ ჩემი მეზობელი შალიკია კვინიხაძე არ წამოჭიმულა!
— ბიჭო, შენ აქ რა გინდა? — ვუკვირი, — შენ ბოლშევიკი ვარო, იძახოდი და ახლა აქ დაჯექი?
— ბოლშევიკი ვარ, მაშ! — იცინის შალიკია.
— მერე მთავრობაში შედი? აღარ გამცე ხმა.
— მთავრობაში შესვლა მე კი არ მითხოვია, თვითონ ამირჩიეს.
შევიტყვეს ულვაში მენშევიკებს ებრძოდი და...
— ებრძოდი და ახლაც ებრძვი, მომავალშიც ებრძოლები, — სანამ გავანადგურებდეთმთლად. — მეუბნება,
— კარგი, გყვოდა, მიგვდი, რაც შეილი ბრძანებულხარ, — მივაახე და გამოვბრუნდი.
— დაიჭირეთ, არ გაუშვათო! — დაიკვირა, რევოლუციური იძრო და მომაშურა. გავშეშდი კაცი...
ახლოს რომ მოვიდა, ნაუხერი ჩააგდო და გადამეხვია. თან ხარხარებს.
თურმე ეს ბიჭი მთავრობაში კია, მაგრამ ახალ მთავრობაში: სანამ მე ციხეში ვიჯექი, ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება დამყარებულა.
— ხარები დაგიბრუნდა?
— დამიბრუნდაო? ხარებიც დამიბრუნდა და მთავრობამაც დახმარება მომცა. მაშინ რომ წელში გავიმართე, მერე აღარ მოგდრეკილვარ და ახლა თქვენც ხედავთ, რა ქონების, რა ციტრუსების, რა ვენახების, რა ოდების პატრონი ვარ მეც, ისე, როგორც ყველა ჩვენი კოლმეურნი...
— კვერენჩხილაძე რა იქნა, ძია?
— ვშაკამა იცის მისი თავი... ჰო, შარშან ქალაქში დაეინახე, კატაფალკის ცხენს მიაძუნებულა.
თურმე ცხენების მომვლელად მოწყობილა. ისე, ცხენები ძველ დროსაც ძალიან უყვარდა...
თეატრი



სოფელი ქალაქად

- როგორ მოგეწონა ქალაქი?
- მშვენიერია, მაგრამ ნაკლი მაინცაა.
- სახელდობრ?
- მთლად მწვანეშია ჩაფლული, რაღა განსხვავებაა სოფელსა და ქალაქს შორის?



ქალაქელი სოფლად

- სხვა, როგორ მოგწონს ჩვენი სოფელი?
- დიდებულია, მაგრამ ნაკლი აქაც არის.
- მაინც?
- მთელი ქუჩები რომ მოვიასფალტებიათ, რაღა განსხვავებაა ქალაქსა და სოფელს შორის?



საქართველოს მწერთა კავშირი

გამორკვეულია, რომ თბილისი მეტად ორიგინალურ სანახაობას წარმოადგენდა ნიკოლოზ II და „ნოე 1-ის“ დროს.

ისტორია ამბობს:

„... და იყო თვითნებულ ქუჩასა ზედა ბითქინ-ბითქინი, სროლად ფიცხელი და ქვეშევრდომნი გარბოდნად თავქუდმოგლეჯილ...“

ისტორია იმასაც აღასტურებს, რომ „ბითქინ-ბითქინი და სროლად ფიცხელი“ ძალიან ხშირად იმართებოდა თვით თბილისის მუშინდელი „ხაზინების“ წინააღმდეგაც. ასე, რომ ისინიც თავმოგლეჯილი გარბოდნად და ზოგჯერ გაქცევასაც ვერ ასწრებდნენ.

აი ერთი მრავალთავანი ისტორიული შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისში 1905 წელს:

„... და შემჩნეულ იქნა, რომ ვიღაცის გაპრიალებული ჩექმები, აგრეთვე ხმალი ჰაერში აფრინდა და იქიდან დაეშვა ბარიატინსკის ქუჩაზე...“

რამდენად ადვილი იყო აღნიშნული ჩექმებისა და ხმალის მონახვა, იმდენად ძნელი შეიქნა მისი პატრონის პოვნა, რადგან, როგორც იქვე გამოირკვა, ეს უკანასკნელი, იგივე გენერალი გრიბუნოვი, ჯორჯიაშვილის ყუმბარას ჩექმებიდან გამოუტყორცნია და გვამი აუფრიალებია სადღაც ცის ლაქვარდებში.

მაგრამ ეს ყველაფერი გამორკვეული და აღწერილია. გადავდივართ მენშევიკების დროის აღწერაზე.

მე, როგორც მეცნიერ-მემბტიანეს, შემიძლია ერთი სახელწოდება მივანიჭო მათ. ისინი დიდებული დრამატურგები იყვნენ. კიდევ მეტი. ისინი კარგი მსახიობებიც იყვნენ.

ისტორიულად ცნობილია, რომ ყველაზე საუცხოო კომედიები მენშევიკების დროს იმართებოდა არა თეატრებში, არამედ თვით „მთავრობის“ სასახლეში. მე ხელში ჩამივარდა ერთი ნოტა, რომელიც მენშევიკების მინისტრმა მიართვა ინგლისელ გენერალს თბილისში:

„...მის უდიდებულესობას გენერალ ჯონ-ჯოლს!

... მაქვს პატივი გადმოგცეთ ჩემი მთავრობის დავალებით, რომ ის, ასე ვსთქვათ, საცვლები (მთავრობა ბოდიშს იხდის ამ სიტყვებზე), რომელიც თქვენმა მხედრობამ ჩვენი დედა-ქალაქის მთავარ პროსპექტზე გადმოჰქიდა, ერთგვარ არაესთეტიკურ შთაბეჭდილებას უქმნის მოსახლეობას და აქევეს მას მთავრობის ძლევა-მოსილებაში. აქვე საჭიროდ ვრაცხ ისიც განვიცხადოთ, რომ ჩვენი შარშანდელი მეპატრონე სახელმწიფოთა საოკუპაციო ჯარები საცვლებს თვით სასტუმროებში აშრობდნენ.

რაც შეეხება მარგანეცის საბადოებს, აგრეთვე ბათუმს, როგორც საპორტო ქალაქს, მთავრობა თანახმაა გადასცეს საექსპლოატაციოდ დიდ-ბრიტანეთს, ხოლო ზემოაღნიშნული საცვლები, (კიდევ ბოდიში მთავრობისაგან) მაინც ვერ ჰქმნის საფასურით ესთეტიკურ მონაცემებს, რისთვისაც ვშუამდგომლობთ... და ასე შემდეგ.

ესარგებლობ შემთხვევით გამოგიცხადოთ თქვენ ბატონო გენერალო, და თქვენს მეუღლეს მდაბალი მორჩილება...“

გენერალი ჯონ-ჯოლი ძალიან გაუცეცხლებია ამ ნოტას. მას უთქვამს:

— მე ფეხებზე მკილია თქვენი მთავრობა, როგორც ასეთი, და ვუბრძანებ ჩემს მხედრობას კვლავაც გადმოჰქიდონ საცვლები თქვენს პროსპექტზე...

შევიძლია დაახლოებით წარმოვიდგინოთ, თუ რა საუბარი გაიმართებოდა ამის შემდეგ „მთავრობის“ წევრებს შორის.

— კაცო, მე არ ვითხარით, რომ ასეთი ნოტიო გენერალს გავაჯავრებთ მეტქი?... არ ხარ, ბიძიკო, სამინისტრო კაცი.

— შენ კი დიდი სახელმწიფო გოგრა მყავხარ, შენმა თავის განეთქამ! დავასხი თავსლადი შენისთანა მთავრობის თავმჯდომარეს.

— ამას ახლა გადავაყენებ მინისტრობიდან ცოლშვილს გეფიცებით!

— ვის გადააყენებ, ბიჭო, შენ! აქეთ გამოდი თუ ვაჟკაცი ხარ!

— ისიც გეყოფა, რომ მთელი ტომარა თეთრი ფქვილი მოიპარე და მინისტრობა მაინც შეგრჩა.

— ვითომ შენ ხურჯინებით არ ჩამოგიტანეს ოსეთში ნაძარცვი ნივთები. ვაი შენს ტყავს, ვის უბედავ ბრალდებას თუ იცი?

ამ დროს შემოიღოთ შემორბის შიკრიკი;

— ალექსანდროვის ბაღში გამოსვლები დაიწყო. ქმრის-შენი-შევიკებო, იძახიან!...

— ე, ბიჭო, ახლა დავიღუბეთ! არიქა ტყვიამფრქვევი, არიქა ზარბაზნები...

ტრახ... ტრახ... ბათქი... ბუთქი!..

და მშრომელთა სისხლით იწერებოდა თბილისის ახალი ისტორიის სტრიქონები.

— იცოცხლეთ, ავაკაკანეთ ტყვიამფრქვევი, — მოახსენებს მთავარ-სარდალი „მთავრობას“, — რას დაგვაკლებდნენ უიარაღო მუშა-მოსამსახურეები!

სწორედ ამ დროს კოჭლობით შემოდის სურსათ-სანოვავის მინისტრი:

— ვაი, ვაი... მომკლა იმ სამკლემ.

— რა იყო კაცო, რა მოგივიდა!

— რალა რა მომივიდა. ამ მშვიერ გულზე სასახლეში მოვდიოდი. ზედ შემოსასვლელ კარებში ჯორმა წიხლები მომაყარა და გამათავა კაცი. ვინ დააბა იქ ის მგლის შესაქმელი!...

— სუსს! ხმა კრინტი, შე ვირო! ის ჯორი ინგლისელებისაა, საყვედური არ წამოგცდეთ. მამულისათვის უნდა მოვითმინოთ, თორემ ბოლშევიკები სულ გავვაძევენ აქედან.

ამ დროს ისევ შემორბის შიკრიკი:

— თავს უშველეთ, ღუშეთში აჯანყება!

— არიქა, ბიჭებო! საჩქაროდ გავზავნეთ ჯარები. გადაასხით ნავთი და დასწვით მთელი მაზრა! — ბრძანებს შინაგან საქმეთა მინისტრი.

— ვაი შენს პატრონს, ბატონო მინისტრო, — ამბობს მთავარ-სარდალი, — ნავთი მაზრაზე გადასახმელი კი არა, ჩემმა ცოლმა კერასინკაში ჩასახმელიც ვერ იშოვა!..

— აბა, ისე დასწვით უნავთოთ.

შიკრიკი ისევ შემორბის;

— ოსეთი აჯანყდა, გთხოვთ თავს უშველოთ!

— ოსებს რალა უნდათ!

— იძახიან ყაჩაღებს და მძარცველებს ჩვენ არ ვაბატონებთო.

— მერე მაგათ ვინ გავაგებინა ყველაფერი ეს! — აღშფოთებული ამბობს მთავრობის თავმჯდომარე, — ბატონო მინისტრო, ასე ინახავთ თქვენ სახელმწიფო საიდუმლოებას!?. წაუკიდეთ ცეცხლი ოსეთსაც! შიკრიკი ისევ შემორბის:

— მთელი საქართველო აჯანყდა, ახლა კი მოუსვით!

* * *

სწორედ 1921 წელს, ამა დროს გატენეს ხურჯინები მინისტრებმა. ერთი მათგანი ამბობს:

— მე იმაზე მწყდება გული, რომ ხახულის ღვთისმშობლის ხატის წაღებას ვეღარ ვასწრებთ. ამბობენ სულ ოქროთია მოჭედდითო.

— ერეკლე მეფის ხმალი ხომ ჩასდევით ჩემს ხურჯინში? — იკითხა „მთავრობის“ თავმჯდომარემ.

— ერეკლე მეფის ხმალი თქვენს ხურჯინში რატომ ჩავდებდი... რაფა, დავით აღმაშენებლის კვერთხი არ გეყოფათ? როგორ იქნება ასე გაუმაძღრობა!..

— ჩქარა კაცო, რას ვაჭრობთ... ჩქარა მეტქი, თორემ, რაც მიგვაქვს ისიც ოხრად დაგვრჩება. აბა მოუსვით!

კომედია დასრულდა (ფარდა).

* * *

ნება გვიბოძეთ გადავიდეთ შემდეგ ეპოქაში. დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. დღეს 20 წლისთავს ვზეიმობთ. მრავალს დაესწარით თქვენი ცოლშვილით...

მრავალყამიერ!

რაც შეეხება ჩვენი ეპოქის ისტორიას, იგი იწერება 200.000.000 ადამიანის მიერ და ჩვენ მას ყოველდღე, ყოველ წუთს ვკითხულობთ ქალაქებსა და სოფლებში, ფაბრიკა-ქარხნებსა და საკოლმეურნეო მინდვრებზე, და ყველგან ჩვენი დიადი, უძლეველი და ყოვლისმძლე სამშობლოს თვალუწვდენელ მიწა-წყალზე.

მაშ, ისევ მოვილოცავთ! მრავალს დაესწარით!



— ბედი არ არისო, არ თქვას კაცმა.
— რაზე ამბობ?
— სანამ ეს მიწა ჩემი საკუთრება იყო „ევროპის“ საუკეთესო „ინჟინერები“ ბუზებით ეხვევოდნენ, მაგრამ წვეთი ნავთი ვერ გამოადინეს: ეხლა კი, ჩემი ნამოჯამაგირალის ბიჭი სადაც ბურღს დაჰკრავს, შადრევნები ამოჰქუხს.

მწიფოც აღარაა, მაინც კონსტიტუციას ბეჭდავენ. ალბათ ევროპის დასარწმუნებელიცაა, ნამდვილი მთავრობა ჩამოვედით, კონსტიტუციითაო:

17 მარტს ღამით ბათომი უჩვეულო რაღას წარმოადგენდა. დამფრთხალი რეპრეზენტალები ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— რა გვეშველება... მენშევიკები გემებში ჩამსხდარან და ევროპაში გარბიან... თურქები ქალაქში შემოჭრილან... მალე ბოლშევიკებიც მოვლენ... ღმერთო რა გვეშველება?

* * *

მენშევიკები უკვე გემებში არიან. მისი ოფიცრებიც გემებში მოთავსებულან, ჯარი კი სამშობლოს იცავს: ბარცხანაში სისხლისმღვრელი ბრძოლაა. თურქები გამაგრდნენ ქალაქის გარშემო სიმაღლეებზე. ისმის ზარბაზნის გუგუნე, ტყვიამფრქვევთა კაკანი.

18 მარტი. თბილისი, მზიანი დილა გათენდა. მოქალაქეებმა ქუჩებში გაკრული ვანცხადებები წაიკითხეს—ძალა-უფლება რევკომმა აიღო ხელში.

დილის 10 საათია, ყველამ იცის—წითელი ჯარი უნდა შემოვიდეს ქალაქში. მშრომელები სიხარულით ელიან სახელოვან არმიას. ობივატელებს გული უცემთ. ვინ არიან ეს წითელარმიელები? მთელ ქალაქს ამოხოცენ, თუ მარტო კარგად ჩაცმულებს შეარჩევენ. წინა დღეებში, როცა მენშევიკური მთავრობის ბედი უკვე გარკვეული იყო, ვილაც პროვოკატორმა ხმები გაავრცელა—ძონძები ჩაიცივით, წვერები მოუშვივით, ბოლშევიკებს საწყალი ხალხი ეგონებით და იქნებ ცოცხლები გადაარჩეთო. კარგად ჩაცმულებს და გაპარსულებს უსიტყვოდ დახვრეტნო.

ყველას უნდა დაინახოს როგორ შემოვა ქალაქში წითელი ჯარი. მუშები, მოსამსახურენი, მოწაფეები გამოფენილან ქუჩებში და სიხარულით ელიან. ობივატელებიც გამოძვრენ. სასაცილო სანახავი იყვნენ, წვერები მოეშვათ, ძველმანები ჩაეცვათ და შეშინებულნი, გაუბედავით ეკვროდნენ კედელს.

და უცბად გაისმა ორკესტრის ხმა. ღუნღუკოვ-კორსაკოვის (ახლა ლენინის) ქუჩაზე გამოჩნდა წითელი არმიის ნაწილები. ლამაზად ჩაცმულნი, მხიარული წითელარმიელები საზეიმო მარშის ხმაზე მიაბიჯებდნენ ქუჩაში. უცბათ ტაში გაისმა. ქალიშვილები თაიგულებს ესროდნენ წითელ მეთაურებს.

დილის 12 საათზე აზიზიეს მოედანზე მიტინგი გაიხსნა. საღამოს გაზეთი გამოვიდა, ხელისუფლების ორგანოებმა მუშაობა დაიწყეს. თურქები გარეკეს. გაიხსნა სავაჭროები, დაწესებულებები. ქალაქში ნორმალური ცხოვრება დაიწყო. მიიხედეს ბათომელებმა სანაპიროსკენ—არც ინგლისის გემები, არც ფრანგებისა, მენშევიკების კვალიც არსად სჩანდა.

სანაპიროზე ფრიადობდა წითელი დროშა. აქარა იწყებდა ახალ ცხოვრებას ეს იყო დასაწყისი იმ ცხოვრებისა, რომელმაც ოცი წლის მანძილზე სიხარულით და ბედნიერებით აავსო, ააყვავა და გაფურჩქნა მზიანი საქართველო, მზიანი აქარა.

გათი უკანასკნელი გარშრუსტი

ბათომი. 17 მარტი. მენშევიკებმა „უკანასკნელი მასკარადი“ გაითამაშეს. ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომა გამართეს. მინისტრებს სხდომისათვის არ ეცალა, ჩემოდნებს ალაგებდნენ. ვილაც უცნობი მოხელე, რომლის გვარი ისტორიას არ შერჩა, სტამბას ედავებოდა:

— აბა, ჩქარა, შეკინძეთ კონსტიტუცია... სტამბის პატრონი მუშებს აჩქარებდა და თან თავს იმართლებდა:

— ასე უცბად როგორ იქნება, ბატონო, 5000 წიგნს ერთ დღეში ხომ ვერ შევკინძავთ...

— მერე და ეს რა წიგნია?— ცხარობდა მოხელე, — ეს ბროშურაა... ვინ ვითხრა 5000 შეკინძეო?... 100 დამიმზადეთ, 100.

მოხელეს ვილაც მუშა გამოესაუბრა.
— მაშ მიდიხართ? გვტოვებთ რაღა!
— მივიდვიართ.

— მერე და ეს კონსტიტუცია რათ გინდათ? სტამბოლში უკონსტიტუციოთ არ შეგიშვებენ?

— შე სულელო, სად გინახავს უკონსტიტუციო სახელმწიფო?

— თქვე კვიანო, სად არის მერე სახელმწიფო?

— 3 დღის წინათ გეთქვა ასეთი სიტყვები გიჩვენებდით ვირის აბანოს და ახლა რა გენაღვლება, კედია-ფაჩულია გემებში სხედან, — სახელმწიფო არ არის? რა ვუყოთ მერე აქ არ არის, პარიზში იქნება...

ამ საუბარში 100 ცალი კონსტიტუციაც გაამზადეს და მოხელემაც მოკურცხლა სანაპიროსკენ.

ბედის დაცინვაა, — ფიქრობდა ის და თან მიძინძულვდა, — ბედის დაცინვაა. 3 წელს არსებობდა ეს ჩვენი ჟორდანიას მთავრობა და კონსტიტუცია არ ქონია, ნიკოლოზის კანონით განაგებდა ქვეყანას. ახლა კი როცა სახელ-

ახ. პიონი

(ბათის პიონერული (გზი))



1921 წ.

(ბ. მე 9 გვ.)

1922 წ.

არ წახლენ? რიღის წაღენ? მამულ რიღის ვაში? რიღის შივი დრო ნტარი, რამ კმევილი არ დევადახო...

დენბა... სენივა მიმარბედა... გული სედაშ გამომირა გული გული მოითმინე თო დღე თო რი კვირა.

1923 წ.

ტახო იცნებხ საშობელში ცაქობარე, გავიციე და ფიქს ნტარს სანუფიშის ჩავეყო, ჩავებედი.

მეც იმდის ანგელოსმა თვის კლიასან მიმიწეა წაღენ? წაღენ... ფრატს ვაღად რი კვირა მიმიწე.

1925 წ.

არ წახლენ? ცხარბუღის შუქ რიღის დეზებულ? იმდის ხა მების რეში "იღად ნე იტბ, წაღენ მადე".

ჩიკარ ვეგეო იმ დროს... გული ფრანგულით თრის და ვაღაბა... ანარულ ნატარ, ღმერთო, შენ მადლი ნუხ სული წუღობს ანარულ მე წაღელი აღმდებ, ამოტარე.

გამაცხოვლე ლამ გამაცხოვლოსაზარ.

7. შენ ძალეს მშვიდობა მიანიჭე, დღე ან გაწერო ტუც განსვენება ხა

მა, მების ცხა წინაშე აღმადგინე, რედეფარი, თუ ვინდა რეწერო მელაგის ხისტარი

შენ წუღობისინგან დღისიმობდღეს დედას ვანაშრე სპიო, რას ათუნებ წებავ?

შენი ხაე სხეხა, ნათლის შუეკება, იგი შექე იტუნის, იტებება ჩენ ღება

თითქის შენის ხაეშ ედმის ხალსო, წაღენ... წაღენ რის ვაღად რი კვირა მ

ჩუ... შორი ხა მომესმა, თან ფაქუნეიკანე, აღტაცება ვრამბრობს, მუხებება მელაღენ.

სანს მიდიან... სანს დამდგარა ჩენ ლღინის დაბარულ სანს კელა იტრის შუღლის გული სეველი დაბერი დაბარული

მეჩამ უციბ იცნებხ წენ კელა დეგუა სეველი დამდა; ის ფაქუნე არად იმბა, ის ფაქუნე წამს მიწენადა.

იქნებ სულაც არ კოვილა... იქნებ იგი მიკვებება... ეს ხად არის, რის გელარის გული კრული მიხებება...

დღე წუღის მიმადეკოს, არ შეტერის იტე ჩაინდა, მიკლე ხანში ბედი ნელს... მიკლე ხანში წაღენ მიამც...

მე იმდისა მათი წახლის შედის წაღენ? წაღენ ვაღად რი კვირა მიმიწე.

1941 წ.

არ წახლენ? წახლის ვაღა სანს ანაღ მიმიწე... თავს სიკვდილი მოვა (დელით ხაქობს მიმიწე).




1941 წ.

მ-ზა.



საქართველოში 1936 წელს გამოშვებული იქნა 130 ათასი მილიონი შამსურტი, ხოლო 1939 წელს — 13. 193 ათასი მილიონი. კახის რაიონის სოფელ ლაზიანის მახარაბის სახელობის კულტურების მერჯულურმა სტამბოვლმა ზაქარია ნიკოლოზის-ბეგიაშვილმა იგი წლად განაგებულაში შესული საშუალოდ თვიურულ ჰექტარზე მიღებული 815 ცენტნერი შაქრის ჰექტარის მიხედვით.

უხარბილი ტარისბი: — საქართველო რომ მოაგრიანი კეთება ურ, ის მეც ვიცოდი, მეგრამ ამდენი მთებში მიჩენ ვერ წარმომედგინა.



კოლმეურნეობა „წინსვლის“ ბრიგადირი გიორგი კვიციანი მარტო დადიოდა კოლმეურნეობის ბაღში. დღეს თუშა კვირა დადგა, გულმა არ მოუთმინა, ერთხელ მაინც არ გადაველო თვალი სიმწიფეში შესულ ხეხილებისათვის.

— გამარჯვება ბიძა გიორგი: ცხელ-ცხელი გაზეთები მოგიტანე.— დაუძახა მას ახალგაზრდა ფოსტალიონმა და გაზეთები ბაღის ჭიშკარზე ჩამოსდო.

გიორგიმ გაზეთები აიღო, იქვე ახლოს მერხზე ჩამოჯდა და „კომუნისტი“ გაშალა.

თვალში ეცა გრძელი ფელეტონი, სათაურით: „მილიონერი კოლმეურნეობა“. გულს ცემა უფრო გაუზვიანდა, როცა თავისი გვარიც ამოიკითხა: „რაიონში ყველა ლაპარაკობს მოწინავე ადამიანის გიორგი კვიციანის მიღწევების შესახებ. მან პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და საკოლმეურნეო ცხოვრების დახმარებით შესძლო დიდი საქმის გაკეთება...“

„გიორგიმ გაზეთი დახურა და გაიმეორა: „პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და საკოლმეურნეო ცხოვრების დახმარებით...“ და დაუმატა: „რომ ეს დახმარება არ მქონოდა, რა კაცი ვიქნებოდი მე? უთუოდ უკანასკნელი ზნეცემული გაიძვერა და არა მოწინავე ადამიანი“. და გიორგი მიიქცა თავის წარსულის მოგონებას.

მისი ბავშვობისა და ახალგაზრდობის ხანა ვიდრე იმ წლებში, უმწიკველი იყო. მამა ადრე გარდაეცვალა და ის პატიოსანი და მუყაითი შრომით არჩენდა თავის დედას და ორ მასზე უმცროს დას, 1919 წელს მენშევიკების ჯარში გაიწვიეს. ის ისეთ ნაწილში მოხვდა, სადაც ერთმანეთში დომხალივით იყო არეული ძველი და ახალი ჯარისკაცები, სტუდენტობა, მოწაფეები და ისეთი გლეხის ბიჭები, როგორც გიორგი იყო. გიორგის ნაწილში გამოსცადების მეორე დღეს იგი სული ცხვარი ჩააბარეს, მაგრამ თვალ და ხელს შუა გამოაცალეს ხუთი ცხვარი. ეს მაშინ მოხდა, როცა გიორგი სადილს იღებდა და თავის მაგიერ ამხანაგს, პეტრია ცხვირკოჩაიშვილს, რომელსაც ყველანი „ცხვირკოჩას“ ეძახდნენ დაავალა თვალმური ედევნებინა ცხვრებისათვის, მაგრამ რომ მიბრუნდა, სამი ცხვარი აკლდა. გიორგიმ ჩხუბი დაუწყო ცხვირკოჩას.

ამ დღეზე „ზავხოზი“ ოფიცერი მოვიდა. გაჯავრდა:

— წადი მონახე! შენს მაგიერ ვინმე დატოვე!

— მე დავრჩები, — განაცხადა ისევ ცხვირკოჩამ.

გიორგი გაქანდა ცხვრების საძიებლად. ბევრი ეძია, ვერაფერი ნახა. მერე დაქანდა მობრუნდა, მაგრამ ხედავს ხუთი ცხვარი კიდევ დაკარგულა და ცხვირკოჩაე არსად სჩანს. შეშინდა, მაგრამ რაღა გზა ჰქონდა. „ზავხოზი“ აცნობა ყველაფერი და ქურდობა ცხვირკოჩას დააბრალა.

დაიბარეს ცხვირკოჩა.

— ცხვირკოჩა! შენ ეს კაცი ქურდობას გაბრალებს. რას იტყვი? — უთხრა „ზავხოზმა“.

— ჰეი, კეუზე აფრაცად ხომ არა ხარ ბიძა, შენ ცხვრები გაყიდე და ქურდობას მე მობრალებ?

გიორგის სისხლი ყელში მოეზღინა. ახედ-დახედა ცხვირკოჩას, მერე უცებ ეცა, ყელში ხელები წაუჭირა და შეპყვირა:

— ახლავე წაგანჩობ ძაღლივით, სთქვი რა უყავი ცხვრები?

— შენდეთ რა ფიცხი ყოფილა! — სიცილით სთქვა „ზავხოზმა“ და გააშველა.

— კვირტაძე, მე ვიცი შენ პატიოსანი ბიჭი ხარ, შენ არ მოიპარავდი, მაგრამ ამ კაცს რომ ახრჩობ საბუთი გაქვს? ხომ არ დაგინახავს რომ მოიპარა?

— რომ დამენახა ბატონო, იქვე დავაკლავდი ხედ.

— კარგი, კარგი! — სთქვა დინჯად „ზავხოზმა“ — ოქმს შევადგენ და შენ ამ საქმეში არ გამოდგები თურმე, ჩემი კვირტაძე.

— არ გამოდგება მაშ! — ჩაურთა ცხვირკოჩა, მე რომ მომპარო ბატონო, ერთ ბეწვს ვერავინ მოაგლეჯს.

— კარგი, შენ მოგაბარებ, მარა ხომ იცი, თუ დააკლდა, ციხეში გაგაგზავნი.

ოქმი შეადგინეს და საქმე ჩაფურჩინდა. გიორგის უკვირდა, რატომ არ დასაჯეს.

ორი დღე არ გასულა, რომ ის დანარჩენი თორმეტი ცხვარიც დაიკარგა.

ცხვირკოჩა მივიდა გიორგისთან და სიცილით უთხრა:

— აჰა, მეც შენი ამხანაგი ვარ! მეც დამეკარგა ცხვრები, მარა შენ კი არ გაბრალებ. არ ვარგა ბიძა ამხანაგის გაწირვა. შევირგდეთ, წავიდეთ მაღარის მე გადავიხდო.

გიორგის გაუკვირდა ცხვირკოჩას ქცევა, უხერხულ მდგომარეობაში ჩაეარდა. როგორ? მან ეს კაცი კინალამ დააბრჩო და ის კი მტრობის მაგიერ ასე ტკბილად ელაპარაკება, ღვინოზედაც ჰპატივებს. გიორგის არ უნდოდა წაყოლოდა, მაგრამ ცხვირკოჩა არ მოეშვა. სამიკიტნოში ცალკე კაბინეტში დასხდნენ, მალე იქ მათი ზემდეგიც შევიდა. ზემდეგი ძველი ნასაღდათარი, დაახლოებით ოცდახუთმეტი წლის ჭრელთვალედა, წითური, ჭორფლიანი კაცი იყო. მან შემოსვლისთანავე მიანალა ცხვირკოჩას.

— აბა ჩამოყავე ახლა ფულები, თუ არა შენი სული ხელში მიიკრავს.

— მოიცა შე ხვადაგო, როდის წაგართვი რამე? ჯერ ღვინო დავლიათ.

დაიწყეს ღვინის სმა. კარგად რომ შეზარხოსდნენ, ჭორფლიანმა კაცმა ისევ მოაგონა ცხვირკოჩას:

— აბა, ჩამოყავე!

— აჰა! — მიადახა ცხვირკოჩამ და მიუგდო ფულები.

— ეს რა? თხუთმეტი თუმანი მეყოფა მე? ოცი სული ცხვარი დააღებეთ, ხუთი ტომარა შექარი გააღდეთ და მე ხუთმეტი თუმანი?

— მეტიც არის. შენ რომ ასი წყვილი ბუშლატი გააპარე, მე რა მარგე იქიდან, არ გახსოვს... მერე შენ ხომ არ გგონია ის ფულები მარტო მე წავიღე: ორი წილი „ზავხოზს“ მივეცი.

— ამ ბიჭს რა მიეცი? — უჩვენა გიორგიზე ზემდეგმა.

— ამას? შავი ქვა. კინალამ დაამარჩო და კიდევ რამეს მივეცი.

— არა, მიეცი ერთი ხუთი თუმანი, ჩქარა! ცოდვა კაცი.

გიორგი უკვე მთვრალი იყო. მაინც გაიპატივა ფულის აღება, მაგრამ ძალად ჩაუდგეს ჯიბეში. მერე უწესო ქალებში წაიყვანეს. აქედან დაიწყო ამ საეჭვო კამპანიაში გიორგის ჩარევა.

როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა გიორგი და მისი, უკვე განუყრელი ამხანაგი ცხვირკოჩა თბილისში იყვნენ. მათ არავითარი პროფესია და სამსახური არ გააჩნდათ და ცხოვრობდნენ საეჭვო კაცების ცხოვრებით. ღამ-ღამობით კარტს თამაშობდნენ კლუბში, დღისით „შავ ბირჟაზე“ მოღვაწეობდნენ: ჰყიდნენ და ჰყიდულობდნენ ლირებსა და დოლარებს.

გიორგის მუდამ უნდოდა სოფელში დაბრუნება ხშირად მოეპატრებოდა თავისი დედა და ორი და, მაგრამ სცხვენოდა ასეთი ხელცარიელი დაბრუნება. სულ ფიქრობდა, ერთხელ იქნება „მსხვილ კომინაციას“ გავაკეთებთ, ან კარტში ბევრ ფულს მოვიგებ, კარგად გამოვეწყობი და სოფელში საუკრებთი დავბრუნდებით. მაგრამ გადიოდა დრო და მისი ოცნება განუხორციელებელი რჩებოდა.

„შავი ბირჟა“ მოისპო, რადგან საბჭოთა ხელისუფლება თანდათან გამაგრდა და ჩერგონეცის კურსი გამტკიცდა. შემდეგ კლუბებშიაც კარტის თამაში აიკრძალა...

ერთდღეს ცხვირკოჩა დაიკარგა. დაიჭირეს, მოჰკლეს გაიპარა სხვა ქალაქში, თუ რა მოუვიდა გიორგიმ ვერაფერი გაიგო.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგის თავისი ამხანაგისათვის ცუდი არ უნდოდა, მისი ასე უკვლოდ გაქრობა თითქმის ესიამოვნა კიდევ. მან ისეთი გრძობა განიცადა, რომელსაც მუშუკიდან ბალაშის გამოდენის დროს იგრძნობს ხოლმე კაცი...

ერთ დღეს გიორგიმ უკანასკნელი ფულით „სელიოტკა“ და პური იყიდა გაზეთში შეახვია და თავის გალიასავით პატარა ოთახში შეიტანა. გაზეთი გაშალა

მაგიდაზე. ჯიბის დანით თევი დასჭრა და ჰამა დაიწყო. უცებ, როცა თევის ნაჭეში აიღო, ძვალო მთაქრა, გაზეთში მოთავსებულ, თევის ქიტი წყურწინებულ სურათს, დააკვირდა, ეცნაურა. გადასწია თევის მეორე ნაჭერი: და წაიკითხა „კოლმეურნეობა „წინსვლის“ ბრიგადირი ქალი მარიამ კვირტაძე“ — ეს ხომ დედაჩემია — ხმამალა წამოიძახა გიორგიმ და დელისაგან ხელი აკანკალდა, გული აუთროლოდა...

* * *

ამ ფიქრებში გართულ გიორგის უცებ თავს წაადგა მისი რვა წლის ვაჟი:

— მამა! ვილაც კაცია, ქალაქიდან უნდა იყოს, შენ გკითხულობს.

— უთხარი ეხლავე მოვათქვა.

ბავშვმა მოჰკურცხლა. გიორგიც ადგა და ნელი ნაბიჯით გაემართა შინისაკენ, მაგრამ ბაღის ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, დაინახა ვეროპულ ტანისამოსში გამოწყობილი, ლურჯსათვალეებიანი კაცი. სათვალეებიანმა ჭიშკარი შემოაღო.

— თქვენ ბრძანდებით გიორგი კვირტაძე?

— დიახ!

— მაშ მე ვარ ის სტუმარი, რომლის შესახებაც თქვენმა ყმაწვილმა გაცნობა. ვარჩიე აქ მენახეთ. ცოტა პირისპირ სალაპარაკო მაქვს თქვენთან.

სათვალეებიანი კაცი მერხზე ჩამოჯდა და გიორგისაც ანიშნა მის გვერდით დამჯდარიყო.

— მე, ამხანაგო კვირტაძე, ცენტრიდან ვარ. ალბად მოგესხენებო, რომ განზრახულია თქვენი წარდგენა ჯილდოზე, ამასთან დაკავშირებით, დავალბებული მაქვს კარგად გამოვირკვიო თქვენი პიროვნება, განსაკუთრებით თქვენი წარსული.

წარსულის ხსენებაზე გიორგის ფერი ეცვალა.

— მე ზოგიერთი ცნობები მაქვს, — განაგრძო სათვალეებიანმა, — თქვენი მენშევიკური ჯარში ყოფნის შესახებ... სათვალეებიანმა კაცმა შენიშნა როგორ გველნაკბენივით გააქროლა გიორგის.

— მაგრამ, მე არ მჯერა, — განაგრძო ისევ სათვალეებიანმა, — მე მაქვს ცნობები თითქოს თქვენ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რამდენიმე წელიწადს თბილისში ცხოვრობდით და მეგობრობა გქონდათ საეჭვო პირებთან... მე არც ეს მჯერა... მაგრამ აი ეს ცოტა მაქვს — სათვალეებიანმა კაცმა ჯიბიდან ამოიღო გაქუქციანებული სურათი რომელზედაც მკრთალად მოსჩანდა ორი ფიგურა — აი ამათ თუ იცნობთ თქვენ?

— ვიცნობ, ვიცნობ! — აკანკალებული ხმით უპასუხა გიორგიმ, — ერთი მე ვარ, მეორე ჩემი მაშინდელი ამხანაგი, ცხვირკოჩიშვილია... და რაც თქვენ ჩემს შესახებ იცით, ყველაფერი მართალია...

— ყოჩაღ, მომწონს შენი გულანდილობა, მაგრამ სურათი თუ კი იცანი, ბიჭო, შე უსინდისო, მე რატომ ვერ მცნობ?

ამ სიტყვებთან ერთად მოსულმა მოიხადა ლურჯი სათვალეები.

— ცხვირკოჩა! — შესძახა გიორგიმ და წამოდგა, უნდოდა გადახვევოდა, მაგრამ უცებ თავი შეიკავა.

— რატომ დაინიე უკან, გიორგი? მე ეხლა ის გარეწარი ცხვირკოჩა აღარა ვარ, შენ რომ მიცნობდი. ჩემს ისტორიას ვრცლად შემდეგ გაიხსნება. მოკლედ ასე გეტყვი: პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ მე გამომასწორა. თეთრი ზღვის არხის მშენებლობაზე, სხვა ჩემგარ წარსულის მქონე ხალხთან ერთად, მეც თავი გამოვიჩინე, მეც დავებე ძველი სამარცხენო გზა და წარმოიდგინე წარჩინებულ ადამიანთა რიცხვშიაც გავვირე, აი საბუთიც! — მან ჯიბიდან ამოიღო ორდენი, გულზე დაიბნია და განაგრძო — როგორც ხედავ შენ სინდისის შეუბღალავად შეგიძლია მიმიღო სტუმრად.



გაქნიქა ზსყვეზს


- მასპინძელო, რაღას გვაცდევინებ, სუფრა ხომ გაშლილია?
- კიდევ ერთ სტუმარს მოველი, ამ ათი წუთის წინ უკვე გამოვიდა სვანეთიდან!
- სვანეთიდან? მაშ რამდენ დღეს უნდა ვუცადოთ?
- დღეები რა შუაშია, ჩვენს სოფელში ხომ აეროდრომი უკვე გვაქვს.

ქაიხოსრო
გიოგრაფია



1) 1919 წ.

— რა აღუდგება ჩვენს ძალას, ყველაფერს მივანგრ-მოვანგრეთ, ქვას ქვაზე არ დავტოვებთ! — შკუხდა ქაიხოსრო ტრიბუნიდან.




2) 1921 წ.

და მართლაც რა გზა აღუდგებოდა ქაიხოსროს ფეხების ძალას: 18 საათის განმავლობაში ქაიხოსრომ ფეხით ჩაირბინა თბილისიდან-ბათუმამდე.



3) იმავე დღეს

და თავის ძმა-კაცებთან ერთად გემ „გასწარი“-თ პარიზისაკენ მოუსვა.



4) სუთი ღლის უემდეგ

— მიბრძანდი ბირჟაში და აღრიცხვაზე გატარდი როგორც უმუშევარი! — ბრძანა საფრანგეთის წარმომადგენელმა.



5) 1923 წ.

ძლივს შეხვდა ქაიხოსროს მეევრის ადგილი. წვალობდა და ოცნებობდა სანუკვარ თანამდებობაზე — ლაქიობაზე რომელიმე რესტორანში.



6) 1929 წ.

მეევროვობით ნაშოვნი ფული, რესტორანის მეპატრონეს მიართვა ქრთამად და დიდი ხნის შემდეგ ოცნება განუხორციელდა.



7) 1934 წ.

მაგრამ დიდ აარს ფათერაკი! ზედმეტი ერთგულებით თავი წაიხდინა ქაიხოსრომ: საფრანგეთის ერთ-ერთ მინისტრს მომსახურების დროს ლობიო გადაასხა და რესტორანიდან ცოცხი მოაბეს.



8) 1937 წ.

კარგა ხანს ბედის ძიების, შემდეგ მისი ძმაკაცების მიერ გახსნილ „მეწიწმატეების ამხანაგობაში“ შევიდა და ბედს უმადლოდა, რომ ბოლოკი მაინც უფასო შკონდა.



9) 1940 წ.

მაგრამ ყველაფერს იღბალი უნდა: საფრანგეთის დამარცხებამ ისეთნაირად დაუცახანა ქაიხოსროს, რომ საფრანგეთიდან გასწრების დროს ნახევარ კონა ბოლოკის წაღებაც ძლივს მოასწრო.



ამ დღეს, ჩვეულებრივ, ერთ პატარა ლუდხანაში იკრიბებიან ხოლმე. ისინი ერთი თვით ადრე იწყებენ საამისო სამზადისს: ძმაკაცების მცირე კომიტეტის დავალებით გამოდის პატარა უოქმო „დადგენილება“ შესახებ იმისა, რომ კომიტეტის წევრებს უფლება ერთმევათ დღეში ერთხელ მეტად მიირთვან საჭმელი. ზოგის ცხოვრებაში ამ „დადგენილებას“ არავითარი ცვლილება არ შეაქვს. ზოგნი გაჭირვებით, მაგრამ მაინც გულწრფელად ეგუებიან. მიზანი უთქმელად იცის ყველამ: ჭაჭული, ბიჭიკო, კაკული, კოჩია, არქიფო, მარქიფო და სხვა ქიფოები თავს მოიყრიან ერთ პატარა ლუდხანაში, 'ვაიხსენებენ თავიანთ წარსულს, ზოგი ატირდება, ზოგი, იმათში ყველაზე უფრო გულმაგარი, მუშტების ღერებით ემუქრება ბოლშევიკებს და არ ახსენდება, რომ ჭკუამახვილ ნაცარქექიასაც კი შერცხვება ასეთ მდგომარეობაში ყოფნა. იმართება ტრადიციული ღრეობა, უხვად გადადის ყელში წყალნარევი ლუდი და ბოლოს... ბოლოს ამ მოთხრობის დასასრული ვიამბობთ.

ლუდხანაში წასვლამდე ორი საათით ადრე მოიყარეს თავი მეზოვეების საერთო საცხოვრებელში, კაკულისთან. ტრადიციულად შეხვდა მათ მუსიო კაკული: მკლავზე სამგლოვიარო არშია ეკრა.

ვიდრე ლუდხანისკენ გაემართებოდნენ კოჩიამ თქვა:

—ძმანო ტანჯულო, წინადადება შემომაქვს მცირე ცვლილება შევიტანოთ წლებიდან წლებამდე შეხვედრებში. ვინაიდან პარიზიდან გამოქცევა მოგვიხდა და ამ პატარა ქალაქში კი შეუძლებელია სურათის გადასაღებად იმდენი ფრაკი ვითხოვოთ, რამდენაც ჩვენ ვართ, ამის გამო სურათი ყველამ ერთ ფრაკში გადავიღოთ, ცალცალკე.

სხვა რა გზა ჰქონდათ, რომ არ დასთანხმებოდნენ!

სურათის გადაღების ოპერაციამ ძალიან მარტივად ჩაიარა მხედველობაში თუ არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჭაჭული თავისმა მოხდენილმა ვაჟკაცობამ ცოტაოდენად გააწვალა და ვინაიდან ფრაკი კოჭებს ქვემოთ კიდევ საკმაოდ გრძელი მოუვიდა, იძულებული გახდა სურათის ჩარჩოში ტანის მხოლოდ ზედა სართული მოეთავსებინა. არქიფოც ის პარიკი ველარ იშოვნა შარშან და შარშანწინ, რომ ხუჭუჭი თმებით ასაღებდა ხოლმე თავს, დედაბრის პარიკს ბოლო შეაკრიჭა და ისე გადიოდა სურათი. ერთი საათის შემდეგ ყველა სურათებზე საფოსტო განყოფილებაში მოიყარა თავი. თანდართული წერილები საქართველოში მყოფ ნათესავებს ატყობინებდა, რომ „არქ-ფო, მარქი-ფო და სხვა ქიფოები შესანიშნავად ცხოვრობენ და მათაც უსურვებენ კარგად ყოფნას“.

* *

სამგლოვიარო „შეხვედრა“ დუმილით დაიწყო.

ყველა მათგანი მოგონების იმ ფიქრმა წარიტაცა 1921 წელს, წამოსვლის დღეს ოჩხამურში გამართულ მიტინგზე რომ მოხდა, ძალიან ივაჟკაცის ბიჭებმა მაშინ; კაკული ტრიბუნაზე იდგა და ყვიროდა:

—რას გეშინიათ, ხალხო, ჩვენ ორ კვირაში ისევე უკან დავბრუნდებით!

ვილაცამ, ხალხში მდგომმა იოხუნჯა.

—ჩვენც სწორედ მაგის გვეშინია, ვაი თუ მართლა დაბრუნდით!

—ორი კვირა; სულ თოთხმეტი დღე;—ჰქუხდა კაკული.

ამ დროს ვილაცამ შეაჩერა და ყურში წაუფუჭუნა:

—მოახლოვდნენ! ხუთ წუთში სოფელში შემოვლენ.

რა ვაჟკაცურად მოასწრეს მაშინ ეტლში ჩასხდომა და გამოქცევა!..

—ოცი წელი, ბიჭებო! რა უცებ გაიარა ამ ოცმა! ისე უცებ თითქო ოცი დღე ყოფილიყოს, —დაარღვია სიჩუმე ერთმა.

—მაინც ტყუილის თქმა მოგვიხდა, ოცი დღე თოთხმეტი დღეზე მეტია, —გულის გასაკეთებლად იოხუნჯა ბიჭიკომ.

შემდეგ სადღეგრძელო შესვეს: მშვიდობით გადარჩენას გაუმარჯოსო, ამბობდნენ.

* *

შუა ქიფე-გლოვას მიადწიეს. სუფრაზე ჯერ ციფფე ჩქო ციფფე ჩენილი რამოდენიმე ტარნის კუდი, რომ მათს მაგიდას ორი უცნობი მოხუცი მიადგა. სტუმრებმა საკუთარი ჭიქები მოიტანეს თან. ეტყობოდათ ამათსავით ჯერ სულ მთლად არ იყვნენ გალატაკებულნი: ჭიქებში ბორდოს ღვინო ესხათ. ერთმა მათგანმა სიტყვა ითხოვა და თქვა:

—ბატონებო! ნება მომეცით იმ ლამაზი ქვეყნის ვაჟკაცების სადღეგრძელო შევსვა, რომელსაც საქართველო ეწოდება: ამ ჭიქით თქვენი ქვეყნის ნამდვილ ვაჟკაცებს, ნამდვილ რაინდებს გაუმარჯოს!

—ბატონო, ჩვენს მაგიდაზე თუ მობრძანდი ჯერ ჩვენი სადღეგრძელო დალიეთ! —დაუფიქრებლად წამოიჭრა კაკული.

—თქვენზე მოგახსენებთ, ბატონებო! თქვენ საქართველოს შეუპოვარ რაინდებს, როდესაც გიმხერთ, მე, საფრანგეთის ყოფილ მთავრობის ერთერთ წევრს, გული უფლებას არ მაძლევს თქვენი ბედი ჩვენს ბედს არ შევადარო...

—შევადარო, მამა გიცხონდა! თქვენ ისევ აგერ ხართ, თქვენს ქვეყანაში, ჩვენ კი საიდან სად გამოვიქცეთო. მოყვა ტრაბახს! —ცვლავ ვერ მოითმინა ჭიქელობაში ცნობილმა კაკულიმ.

როგორც იყო დააშოშმინეს. საფრანგეთის ყოფილი მთავრობის წევრის ხათრით კაკულის სიგიჟე დასწამეს და მორიგი სიტყვა მეორეს მისცეს:

—მე, ბატონებო, —შემინებულის ტონით დაიწყო მეორემ, —როგორც მოგესხენებთ, პოლონეთის მთავრობის მინისტრი გახლავართ და როდესაც თქვენ გიმხერთ, თქვენი ლამაზი ქვეყნის ბედკრულო შვილებო, არ შემიძლიან ამ ღვინოს ათიოდე ცრემლი არ მივუმატო და არ მოგახსენოთ, რომ ჩვენ და თქვენ სწორეთ ისეთი ბედი გვეკრავა, რომ ერთი-მეორესაგან არ განვსხვავდებით: მოგესხენებთ სულ ცოტაოდენი ხნის წინათ ჩვენც იძულებული გავხდით კარიდორზე ატეხილი ჩხუბის შედეგად გამოვქცეულიყავით...

აქ კი განრისხებულმა არქიფომ ვიღარ მოითმინა:

—დავკლამ მაგ ციგან მიიშუნს. ხედავთ ჩვენ რომ გვედრება! შე უნამუსო, რაღაც კარიდორზე კინკლაობა მოგვგლია მეზობელთან და ჩვენს სახელმწიფოებრივ უთანხმოებას ადარებ?! კარიდორი კი არა ოთხი კუკლასავით ოთხი დავტოვე ნატანებში და ისიც აღარ მახსოვს. კარიდორი, მამა გიცხონდა!

საფრანგეთის ყოფილი მთავრობის წევრმა ვაკვირების ნიშნით წარბები შეათამაშა და ნერვებაუშლელოდ წარმოსთქვა:

—კი, ბატონებო, მაგრამ ესეც გიჟია, თუ?!

—გიჟის ხმა მესმის! —კინაღამ მართლა გაგიჟდა კაკული, ოც წელიწადს ნათრევ-ნაწვალზე, თერთმეტგან დაკერებულ ყანწს ხელი წამოავლო და სტუმრის შუბლთან ახალი ამბავი დააბარა.

საფრანგეთის ყოფილ მთავრობის წევრმა ველარ მოითმინა: ვიდრე კაკულის აკავებდნენ, პოლონელ რაინდს ხმალი წაგლიჯა და შეურაცმყოფელს ეტაკა.

პოლონელმა მინისტრმა სინდისს ვერ უღალატა და აწვაუქმებულ ხელმეკრულების თანახმად მოკავშირის დასახმარებლად წამოხტა.

ამ პატარა ლუდხანაში სხვა უსაქმოებიც ბევრი აღმოჩნდნენ. შეიქნა „ბომბარდირება“. ადგილიდან აფრინდა თევზების ესკადრილია და ბოთლსსაცაობა მარტო მაგიდებმა იკისრეს.

ერთ საათს გასტანა ხელჩართულმა ბრძოლამ. ვერც ერთი თავი ვერ გადარჩა გაუტეხავი, ორს ფეხი მოტყდა, ერთი კასრში ჩავარდა.

ერთის სიტყვით, ქურჭლის დამტვრევის გარდა ზარალი უმნიშვნელო იყო.

გ. ივანიშვილი.



ამ ქვეყნის არაფერი მესმის! სულ ამერია ბოშო გზა და კვალი. ბავშობაში—თავი ნასწავლათ მომქონდა—მართალია გაფხევილ აზროუს მიძახდენ, მარა ჯიბე მქონდა გაფხევილი თუ არა, ქუთით თავის გოგრა ფილთა თოფივით მქონდა გატენილი: დუშაში მჭირდებოდა—დუშაშს დოუჯენდი, დუ-იაქე მინდოდა—დუ-იაქეს. ისთე, შინაურულად რო ვთქვათ, თლა ბრიყვი და უსტავლელი როდი ვყოფილვარ: წერაც ვიცოდი და კითხვაც. ზეპირად ვიცოდი მაგალითად სტანციების სახელები ბათუმიდან—თბილისამდე. არ გჯერათ? ახლაც მახსოვს: ბათუმ—ჩაქვა, ქობულეთი, ნოტანები, სუფსა, ჯუმათი, ლანჩუთი, ნიგოეთი, საჯევანო, სამტრედია. გამოთქმას ნუ დამიწუნებთ, რუსულეფ მაქ წაკითხულ-დაზეპირებული თუ არა ქართულ რასპისანიეს გამოკვრას სტანციაში ვინ გვაკადრებდა? ქართულზე გამახსენდა: ერთხელ ბებიჩემმა სვირში წამიყვანა დეიდასთან. უკან რო ვბრუნდებოდით მატარებელით, ლევიზორმა თუ კანისტორმა ჩამეიარა და გვითხრა:

„ბილეთი. ფაფრაშუ“ ო.

ყველამ მიაწოდა ლევიზორს ბილეთები. ბებიჩემი კი გაფითრდა, გაშეშდა და მგზავრებს მიმართა:

— მიშველეთ, ხალხო! ეს რა დამემართა, ბილეთი ქე მაქ მარა ფაფრაშუ არ მიყიდა და ხომ დევილუპო. ძლივს დააშოშმინეს საწყალი. ჰო, იმას ვამბობდი, სტანციების სახელი ზეპირად ვიცოდი. ახლა კი სულ ამერია დავთარი ეს დიდებეაო და ფაფრიკებთან აჩერებენ, ეს ზაჰესიო და ელექტრონის ზავოდთან, ეს ხანდაკიო, კოლმეურნეობასთან, ეს კასპიო ცემენტთან, ეს აგარაო და შაქართან. რომელი ჩამოვთვალო. ამას წინათ ხარაგოულიდან ბათუმში წვედი. ზესტაფონს რო გავშორდით სვირში მივდიოდი მეგონა და არგვეთის სტანციაში მიყო ფეხი მატარებელმა. რიონს იქით სამტრედია მეგონა და ორი ახალი სტანცია გადამეჯგინა წინ—ბრეწოლა და იანეთი. ყველას ხო ვერ ისწავლი კაცი ზეპირად. ნატანებს რომ გავცილდი მეგონა ქობულეთში მივდიოდი და ოჩხამურში აპოყავი თავი, აქანა? აქანა კილომ ჩაისთვის ჩერდება. გარშემო ჩაის პლანტაციები დამხვდა გაშენებული. ეს ერთი მხრივ კაი საქმეა, მარა რა უნდა ინადიროს

კაცმა ამის მერე? ამ ტყეში რა ნადირი გინდოდა რო არ ყოფილიყო. ერთხელ იმისთანა გარეული კატა ვნახე შიგ, რომ იტყვიან, ნიკოლოზის დროინდელი თვრალი სალდათის შტიკივით ქონდა ულაშები გაბზეკილი. ახლა სად უნდა შეაფარონ საწყალმა გარეულმა კატებმა. დათევბა, მგლებმა და სხვა ნადირებმა თავი. ამბობენ ქალადიდში რო ტყეები იყო, იმისაც ეს დღე დაადგაო, კატებს რას ვჯავრობ, მე თითონ აღარ მაქ მყუდრო თავშესაფარი: ზე კაკალ ქიშკართან ჩემ სახლის გვერდით ავტონობილის გზა გეიყვანა სოფელმა, მოსვენებას არ მაძლევს მანქანის გუგუნე, იწიწიწე რომ ამ დღეში ვარ, მაღლიდანაც პაქარი გამიჩინეს; ამას წინათ ჩემი სახლის თავზე სამოცმა აეროპლანმა გადავიარა


ვთქვათ, მოუარა თავში აბუზარამ იმ აეროპლანის შოფერს და დამეცა თავზე! ხო ჩამიტანს ქვესკენლში! ვენახის ფოთოლი ხომ არ არის რომ სუბუქათ დამეცეს. ახლა ამ მაშინას ხალხიც დაყავს აქეთ—იქით. ხუთი თუმნის მეტი არ ღირს ბილეთი თბილისიდან—ქუთეისამდის. იმით თუ გინდა თბილისიდან ერთ საათში სვანეთში ფხეკას მოადენო. დობტური რო გინდოდეს, სანამ საექიმო პუნქტში ცხენს მიიბამდე, იმ ჰაეროპლანით თბილისიდან ფაფრიზორი დავადგება თავზე და საჭიროებისას ავადმყოფს ქალაქშიაც წააფრენსო. გამოტეხილი რო ვთქვათ არ არის ცუდი საქმე, მარა ის არ მომწონს, რო ბავშვები სახში აღარ მიჩერდება. ყველა თბილისისკენ გარბის ამბობენ „ნიკოლოზის დროს ჩვენში ერთი უმაღლესიც არ იყო, ახლა ოცდახუთზე მეტია და ერთერთში მაინც შევალთო“. მეგონა უმცროსი ბიჭი მაინც დარჩებოდა ჩემთან მარა იმანაც ნიახური ამომისევა. რაცხა სახელოსნო სკოლები გაუღიათ. წვედა იმისთანა სკოლაში თბილისში და კაი დღეებზე ჩამოვიდა ისე გაპოპრანქულ—გაშტიკინებული რო ვეღარ ვიცანი. ხელთათმანიც კი ჩოუცვამს ხელზე, ქულზე კაკარტა მიუქრია და ძველი პოლკონიკივით გადი-გამოდის ბალკონში სულ ცოდვილო, რო შევხედე კი გამეხარდა მარა ცოტა ქეც შემეხარბა. მაგისთანა პირობებში სწავლაზე უარს არც მე ვიტყოდი. რას იზამ ესეც ბეღია! მეორედ ხომ ვერ დეიბადები კაცი!

აქლან მიღწევას როგორ გაუძლოს

ანუ

გულგანათილთა შორის—უცხოეთში

ნახ. მიხ. ლებეშვიცა



— კარგა ხანია რაც ჩემი ქმარი საქართველოს რადიოგადაცემას აღარ უსმენს.
— რატომ, ენა გადაავიწყდა?
— არა, ნევრო-პათოლოგმა აუკრძალა.

ცხონებული მამაჩემი,
ნიკოლოზის დროის ხელში,
ისე მოკვდა, სიხარული
არ უგრძენია სიცოცხლეში.

დარჩა რალაც ცოტა მიწა,
ერთი თხა და ერთი ქოზი,—
ისე დაფრჩი ტიტლიკანა,—
ვით ესკიმოს ხმელი ჯოზი.

მენშევიკთა მთავრობის დროს,—
ასანთს ჰყიდდენ მილიონად,—
შიმშილოზდა საქართველო,
ტანჯვას არსით მოეფონა.

მაგრამ აი, საბჭოების
დროშა ჩვენში გაიშალა,
საქართველოს მშრომელბმაც
ახალი მზის იგრძენეს ძალა.

სწორედ იმ დღეს ჩემს ქონშიაც
ითქვა ტკბილი სადღეგრძელო:
დავქორწილდი და შევირთე
ეს შევთვალა—ჩემი პელო.

ეშრომობდით და ამ შრომაში
გადიოდა წლები... ჰო და,
კოლექტივის დახმარებით
წამოვჭიმეთ კოხტა ოდა.


კაცი წელში გავიმართე,
სხვებთან ერთად, ვმღერ და ვილხენ,—
მხოლოდ ჩუმად უნდა გითხრათ,
საიდუმლოს ნუ გამიმხელთ:

ამ ცხოვრებას რომ ჩამორჩე,
ალარ გინდა ქვეყნად გავლა?—
ჰო და, მე და ჩემმა პელომ
ცვალებიასაც ვიწყეთ სწავლა.

„ვალც-ბოსტანი“ თუმც ვისწავლე,
„ფოსკროტს“ თავი ვერ გავართვი...
ცოლი მიბღვერს:—აქეთ ფეხი,
„ნუ ძუნძულებ როგორც დათვი...“

მაგრამ მაინც არა უშავს,
ჩამორჩენის არ მაქვს შიში,—
ასეთია, ახლა ჩემი
ოჯახური ანგარიში.

ქვანტილა



— 20 წელია, რაც საქართველოს მხოლოდ სიზმარში ვხედავ.
— მე კი — საქართველოს წარმატებების გაგებით თავი სიზმარში მგონია.

ჩვენნი უოსება

ციტრუსიძეს. ხუთი წლის წინათ, ოლიმპიადის გამო, თქვენ
იწერებოდით:

აგერ მოდის სიმონი
თავის, კოხტა ჭიმონით;
მოხდევს პანტელიმონი,
მასაც მოაქვს ჭიმონი...

ახლა, როდესაც ჩვენში ციტრუსების კულტურა განვითარდა,
თქვენ საკუთარი ნაწარმოების პლაგიატს—ლიტერატურულ ქურდობას
ეწვეით და იწერებით:

აჰა, მოდის სიმონი,
გოდრით მოაქვს ლიმონი;
მოდის პანტელიმონიც
დატვირთულა ლიმონით.
იმლერიან ჰიმნებსა
და ყლაპავენ ლიმნებსა...

ასეთი „ჰიმნებით“ „ლიმნებს“ ვერც ვემოს შეჰმატებთ, ვერც
სურნელებას.

მ. ვაზიაშვილს. ვერც თქვენმა პოემამ აღგვაფრთოვანა:

ახუნძულია ვაზის მტევნები.
გოგოვ, ვენახში დაგედევნები...

არ გიორჩევთ ვენახში რბენას; ავნებს ვაზსაც და მტევნებსაც.
შემდეგ:

რომ მიყვარს ღვინო
კარდანახული,
ეს ყველამ იცის
თვალდანახულად.
გული არა მაქვს
მე დანაყული...

შეიძლება გული მართლაც არა გაქვთ „დანაყული“, თქვენი ლექსებისა კი რა მოგახსენოთ...

ოზარ ლიქიანს. შექსპირს ეტყობა თქვენი გავლენა. თქვენ სწერთ:

მე კოლექტივის გამგეობის
ხელმძღვანელთათვის
გამიწევია სამსახური—
თვითონც იციან:
ჩვენს ფერმის ახლოს ოცდახუთი
მოეკალი დათვი
და გამოგზარდე ათი ცხენი,
ოცი კვიცია...

არ გეწყინოთ, მაგრამ:

გვაეზვებთ დიდათ, კვენით გული
ვერ გავციხარეთ.
ოცდახუთსა დათვს
ერთად თავი ვით მოუყარეთ?
კვიცების გავრდა, რა თქმა უნდა,
ჩვენც გავციხარდა,
მაგრამ გავტყდებით, კიდევ უფრო
გვეამებოდა,
კვიცებთან ერთად ავტორს თავიც
გამოგზარდა.

რელაქსიისაგან

ჩვენგან დამოუკიდებელ ტექნიკურ მიზეზების გამო,
„ნიანგის“ № 1, რომელიც იბეჭდება „ზარია ვოსტოკას“
სტამბაში დაგვიანებით გამოდის. მკითხველები მას ამ
დღეებში მიიღებენ.

საკრედიტო კოლეგია

რელაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. 5, ტელ. 3-74-67

გადაეცა წარმოებას 1941 წ. 11/II ხელმოწერილია დასაბეჭდად 1941 წ. 21/II ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფ. კომბინატი, „კომუნისტი“ თბილისი, ლენინის ქ. № 28.



— შენ რა გიჭირს შვილო, ლაქაობა მაინც სუფთა ხელობაა, მე კი — ამ ოცი წლის წინად საქართველოში მინისტრი ვიყავი და აქ კი ეს ხელობაც ძლივს ვიშოვე.